

თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს
სხდომის ოქმი №05

თბილისი

14 თებერვალი 2015წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფ. ილონა საყვარელიძე, პროფ. ნინო ორმოცაძე, ასოც. პროფ. ელენე ნიკოზაძე.

სტუდენტები: თ.ჩადუნელი, თ. სიყმაშვილი

სხდომის თავმჯდომარე: პროფ. ილონა საყვარელიძე

სხდომის მდივანი: გაიანე გრიგორიანი

დღის წესრიგი:

1. თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის არჩევნების ჩატარების საკითხი (მომხ. პროფ. ი. საყვარელიძე).
2. ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი პროგრამის სტუდენტთათვის სტატუსის აღდგენის თაობაზე (მომხ. პროფ. ილონა საყვარელიძე)
3. თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთათვის სტიპენდიების დანიშვნა.
4. თჰუ ეკონომიკის, ბიზნესის და მართვის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის, მუჰამედ ჰასანოვის, შიდამობილობის წესით საგაზაფხულო სემესტრიდან ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი პროგრამის სტუდენტად ჩარიცხვის საკითხი.

მოისმინეს:

პირველ საკითხთან დაკავშირებით თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ ი.საყვარელიძეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ 2015 წლის 16 თებერვლისთვის ეწურება ადმინისტრაციულ თანამდებობაზე ყოფნის ვადა. აქედან გამომდინარე 2014 წლის 26 დეკემბრის №27 გადაწყვეტილების საფუძველზე გამოცხადდა ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის არჩევნები. ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დასაკავებლად დარეგისტრირებული იყო ერთი კანდიდატი, თჰუ პროფესორი ი.საყვარელიძე. ფაკულტეტის საბჭომ განიხილა

დასახელებული კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საბუთები და მათზე თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობა არჩევნების პირობებთან; კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ფაკულტეტის განვითარების სტრატეგია. მომხსენებელმა ფაკულტეტის საბჭოს წევრებს სთხოვა, რომ ფარული კენჭისყრით გამოეხატათ საკუთარი ნება, პროფ. ი.საყვარელიძეს ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ.

გაიმართა კენჭისყრა: დარიგდა ბიულეტენები; არცერთი ბიულეტენი არ გაუქმებულა; ილონა საყვარელიძემ თავი შეიკავა ხმის მიცემისაგან, სხვა ყველა ხმა დადებითი გამოდგა.

მეორე საკითხთან დაკავშირებით თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის პროფესორის ილონა საყვარელიძის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ :

სტუდენტის პირადი განცხადების საფუძველზე დასაშვებია აღუდგეს სტუდენტის სტატუსი 2014-2015 წ. საგაზაფხულო სემესტრიდან დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიან პროგრამაზე შემდეგ სტუდენტებს:

- ლევან მალრაძეს
- თამარ მენტეშაშვილს
- მახირ ასკეროვს

მესამე საკითხთან დაკავშირებით თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ ი.საყვარელიძეს ინფორმაცია იმის შესახებ რომ სტუდენტებს, რომლებმაც 2014-2015 წლის საშემოდგომო სემესტრი წარჩინებით დაამთავრეს გამოეყოთ საუნივერსიტეტო სტიპენდია. მისი შუამდგომლობის საფუძველზე საუნივერსიტეტო სტიპენდიანტებად დასახელდა შემდეგი სტუდენტები:

- ა) ნიჯათ მეჰდიევი
- ბ) მურად ისმაილოვი

მეოთხე საკითხთან დაკავშირებით თჰუ ეკონომიკის, ბიზნესის და მართვის დეკანის პროფესორ ოლეგ ეჯიბადის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ეკონომიკის, ბიზნესის და მართვის ფაკულტეტის სტუდენტს მუჰამედ ჰასანოვს (ჩარიცხვის ბრძანება № 79/05) სურს სპეციალობის შეცვლა და პირადი განცხადების საფუძველზე გადასვლა ჯანდაცვის ფაკულტეტზე დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიან პროგრამაზე.

ბ) ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის პროფესორის ილონა საყვარელიძეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მუჰამედ ჰასანოვი დარეგისტრირებულ იქნას დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი პროგრამის სტუდენტად 2015 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრიდან.

აზრი გამოთქვას:

პროფესორმა ნ. ორმოცაძემ, პროფ. ტ. ზუბიაშვილმა, ასოც. პროფ. ელენე ნიკოზაძემ .

ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭომ კენჭისყრის შედეგად და ეკონომიკის, ბიზნესის და მართვის და ჯანდაცვის ფაკულტეტების ერთობლივი საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს საუნივერსიტეტო სტიპენდია ჯანდაცვის ფაკულტეტის შემდეგ წარჩინებულ სტუდენტებს:

- ა) ნიჯათ მეჰდიევ
- ბ) მურად ისმაილოვი

2. აღუდგეს სტუდენტს სტატუსი 2014–2015წ. საგაზაფხულო სემესტრიდან დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიან პროგრამაზე შემდეგ სტუდენტებს:

- ლევან მალრაძეს
- თამარ მენტეშაშვილს
- მახირ ასკეროვს


3. არჩეულ იქნას თქუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე ილონა საყვარელიძე 4 წლის ვადით, შრომითი ხელშეკრულება გაუფორმდეს 2015 წლის 16 თებერვლიდან.

4. დარეგისტრირდეს მუჰამედ ჰასანოვი თქუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი პროგრამის პირველი სემესტრის სტუდენტად;

5. ეთხოვოს თქუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე:

ი. საყვარელიძე



ი. საყვარელიძე

სხდომის მდივანი:

ბ. გრიგორიანი

ბ. გრიგორიანი